

საქართველო

ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება ისევ გადაიდო

ენერჯეტიკის ახალი მინისტრი გიგანტური პროექტის ხელახალ დასაბუთებას და განხილვას ითხოვს

ბეჭდვა ელ-ფოსტა კომენტარი

გაზიარება



ზაზა წულაძე
10.12.2012

ტექსტის ზომა

საქართველო

კომპანია „ტრანს ელექტრიკამ“ (<http://transelectrica.com/>), რომელიც ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული, გაურკვეველი ვადით გადადო ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. 18 დეკემბერს ასეთი განხილვა სოფელ ხაიშში იყო დაგეგმილი. ხუდონის კასკადის მშენებლობის შემთხვევაში ამ სოფელს დატბორვა ემუქრება. 20 დეკემბერს კი საჯარო განხილვა უკვე თბილისში უნდა მომხდარიყო. „ტრანს ელექტრიკა“ აცხადებს, რომ დამატებით კვლევებს აწარმოებს და თავიდან დაიწყებს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების პროცედურას. საქართველოს მთავრობამ ხუდონჰესის

ამ ავტორის სხვა სტატიები

პრეზიდენტი სააკაშვილი ბევრს ვეღარ იფრენს

20 წელი ლათას ტრაგედიიდან

თბილისი პოლიტიკური პატიმრების არსებობას აღიარებს

ივანიშვილმა რასმუსენის კრიტიკას უპასუხა

ხმაურიანი დაპატიმრებების სერია საქართველოში

მეტი სტატიები



ქალაქი ნიუტაუნი, კონკეტიკუტის შტატი, 14 დეკემბერი, 2012.

1/8

ტიტრების წაშლა

ამ თემაზე

პოლიტიკური კრიზისი საქართველოში

ყველაზე ხშირად წაკითხული

1. რატომ ვერ ვისროლეთ M4 ტიპის ავტომობილები?!
2. ჯანსაღი გადაწყვეტილება კრძო სექტორიდან მოდის
3. დემოკრატია ყველაზე უკეთ საქართველოში ვითარდება
4. მთავარი ამოცანა - ნდობის პლატფორმის მომზადება
5. კონკეტიკუტში ტრაგედია მოხდა

მშენებლობის განახლებას 2009 წლის დეკემბერში აუნთო მწვანე შუქი, როცა ინდურ კომპანია „კონტინენტალ კონსტრაქშენთან“ (<http://www.cccorpn.com/>) ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. მოგვიანებით მშენებლობის უფლება, მოულოდნელად „ტრანს ელექტრიკას“ გადაეცა. ამ კომპანიის დამფუძნებლების ვინაობა დღემდე გასაიდუმლოებულია. (იხილეთ <http://www.amerikishkma.com/content/article-11-55-66-132999338/537011.html>) „ტრანს ელექტრიკამ“ დღემდე გიგანტური პროექტის ხუთამდე საჯარო განხილვა მოაწყო და მშენებლობის ნებართვას ელოდა. „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ენერჯეტიკის მინისტრი კახი კალაძე ხუდონთან დაკავშირებით სამინისტროს ახალ პოლიტიკაზე საუბრობს:

„ხუდონს რაც შეეხება ეს საკმაოდ საკამათო თემაა. სამომავლოდ ჩვენ განვიხილავთ რომ ხელმეორედ მოხდეს ამ პროექტზე საჯარო განხილვები, ვინაიდან ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ხუდონის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ჩვენი ხედვა არის ასეთი, რომ ტრანს ელექტრიკამ უნდა წარმოგვიდგინოს ტექნიკურ-ეკონომიკური ხედვა და რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს ამ პროექტს გარემოზე. კიდევ ერთი საკითხია ხაიშის დატბორვა და სოფლის გასახლება. ესეც უნდა გვითხრან როგორ უყურებენ ამ პრობლემის გადაჭრას,

ჩატარდება თუ არა სამართლიანი სასამართლო პროცესები საქართველოში, ყოფილი საჯარო მოხელეების პასუხისგებაში მიცემის მიზნით?

კო	50,6%
არა	39,9%
არ ვიცი	9,4%
სრული ხმები 308	

ეს გამოკითხვა დახურულია

ეს არ არის მეცნიერული გამოკითხვა

კომპენსაციის საკითხს. ყველა ამ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სამინისტრო მზად არის განვიხილოთ ეს პროექტი ხელახლა.“

ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის „ტრანს ელექტრიკისთვის“ კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი (<http://w3.cenn.org/wssl/>) ამზადებდა. სოფელ ხაიშისა და ხაიშის თემის კიდე 18 სოფლის მოსახლეობისთვის ისევ გაურკვეველია რას სთავაზობს ინვესტორი სვანეთიდან გასახლების სანაცვლოდ. განსახლების გეგმაზე „ტრანს ელექტრიკის“ დაკვეთით „მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია“ მუშაობს, რომელიც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის და ყოფილი პრემიერის, დღეს კი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის საკუთრებაა. განსახლების სავარაუდო არეალში მაცხოვრებელთა უმრავლესობა ეკონომიკის სამინისტროს, „ტრანს ელექტრიკსა“ და „მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციას“ მამაპაპისეული მიწების წართმევაში ადანაშაულებს. ბოლო ერთი წლის მანძილზე, სახელმწიფომ ეკონომიკის სამინისტროს სახით სვანეთში „ტრანს ელექტრიკს“ 1500 ჰექტარი მიწის ფართობი ისე გადასცა, რომ ნაკვეთების მფლობელებმა ამის შესახებ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ შეიტყვეს. „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი და გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე ამბობენ:

ირაკლი მაჭარაშვილი: „ჩვენი პოზიცია რადიკალურია იმის გამო, რომ აქამდე იგნორირებული იყო საზოგადოება, ადგილობრივი მოსახლეობა. აქამდე ხაიშისა და თემის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა მაპატიეთ და ფეხებზე ეკიდა ყველას. პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია და აქედან უნდა გადასახლდეთ. აი ეს არის მიუღებელი და ამის წინაშე ჩვენ ყოველთვის რადიკალური ვიქნებით, თუ ეს მიდგომა შენარჩუნდა.“

ხათუნა გოგალაძე: „უნდა მოხდეს ხუდონის პროექტის ძურფესვიანი შესწავლა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა. ზოგადად, თუ გარემოს შეუქცევადი ზიანი მიადგა რატ გვინდა ასეთი ჰესი?! მაგრამ, მეორეს მხრივ გვჭირდება ენერჯია.“

ფონდ „მსოფლიო გამომცდილება საქართველოსთვის“ მონაცემებით, საქართველოს ენერჯის მიწოდების ძირითად ნაწილს, 60–70%-ს იმპორტირებული ენერჯომეცველები წარმოადგენს. აქედან, 40–45%-ი, დაახლოებით, 1 800 000 000 კუბური მეტრი იმპორტირებული ბუნებრივი გაზია, ხოლო 20–25%-ი, დაახლოებით, 1 000 000 ტონა ნავთობის ექვივალენტი, იმპორტირებული ნავთობპროდუქტები. ექსპერტთა აზრით, ასეთი ძლიერი ენერჯეტიკული დამოკიდებულების გამო, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვან პოლიტიკურ რისკებსაც შეიცავს და შეიძლება გარკვეული იძულებითი ნაბიჯების გადადგმაც განაპირობოს, თუკი ენერჯოდამოკიდებულების რისკები სათანადოდ არ იქნება შემცირებული. პარალელურად, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ელექტროენერჯის მოხმარება. 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს მოხმარება თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, დღეს საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარება წელიწადში - 1900 კილოვატ საათს შეადგენს. ამ მაჩვენებლით საქართველო განვითარებულ ქვეყნებს 3–4 ჯერ ჩამორჩება. საქართველოს ახალ მთავრობასაც იგივე ამოცანა უდგას, რომ გარემოს დაცვასა და ენერჯის გაზრდას შორის, ოქროს შუალედის პოვნა შეძლოს; და, დეფიციტის ამოვსებას გარემოსდაცვითი პრობლემატიკის იგნორირების ხარჯზე არ შეეცადოს (იხილეთ <http://www.amerikiskhma.com/content/hydroelectric-plants-georgia->

გამოკითხვის არქივი

ინტერაქტივი



ვაშინგტონი დღეს, 13 დეკემბერი, 2012

დღევანდელ გადაცემაში იხილავთ: როგორ ეხმარებიან ვირჯინიელები ბრძოლის ველზე დაჭრილ ვეტერანებს და მათ ოჯახებს? სკოლა, რომელიც ბავშვებს ჩაცმის კულტურის შემუშავებაში ეხმარება და ტუსაღები, რომლებიც საზოგადოებას ციხიდან ემსახურებიან. რა კავშირია ძველ წიგნებსა და თავისუფლება-აღკვეთილ ადამიანებს შორის?



ვაშინგტონი დღეს, 7 დეკემბერი, 2012

დღევანდელ გადაცემაში ნახავთ: გახდება თუ არა მარბიუნა ლეგალური რეკრიაციული ნარკოტიკი ამერიკაში, ასევე ვისაუბრებთ იდეოლოგიურ კრიზისზე, რომელიც ამერიკის რესპუბლიკურმა პარტიამ უნდა გადალახოს და გაგაცნობთ, თუ რატომ არიან ასტრონავტები გულნატკეპნი მთვარეზე ბოლო დაჯდომიდან 40 წლის შემდეგ...



ვაშინგტონი დღეს, 29 ნოემბერი, 2012

ვაშინგტონი დღეს, 29 ნოემბერი, 2012

108428799/533117.html) რის გამოც წინა მთავრობას გამუდმებით აკრიტიკებდნენ.

ბეჭედა ელ-ფოსტა კომენტარი გაზიარება

Tweet < 3
 რეკომენდებული < 10
 გაგზავნა 0
 Pin it

გააკეთეთ კომენტარი ამ ფორუმზე

კომენტარები

დატოვეთ კომენტარი

[პროდუქტები](#)
[პოდკასტი](#)
[RSS](#)
[გამოიწერე](#)
[მობილური](#)

მთავარი	პროგრამები	დახმარება	ბმულები	გაზიარება
ახალი ამბები	ვაშინგტონი დღეს	მოგწერეთ	რადიო თავისუფლება	Del.icio.us
აშშ	რადიო გადაცემა	კონფიდენციალურობა	ჰიუმან რაიტს უოჩი	Facebook
ევროპა	მსოფლიო 60 წამში	ამერიკის ხმის წესდება	გაერო	Google Bookmarks
საქართველო	პოდკასტი	ჩვენს შესახებ	საერთაშორისო გამჭვირვალობა	Reddit
მსოფლიო	ბლოგი			Twitter